community

The New Apostolic Church around the world

03/2024/GE

წავიდეთ ღვთისმსახურებაზე

რედაქციისგან
რატომ დავდივართ ღვთისმსახურებაზე

ღვთისმსახურება ყველას თავისუფლად შეუძლია გავლა

საეკლესიო მოძღვრება ჭეშმარიტ რწმენას აქვს მომავალი

New Apostolic Church
International

რედაქციისგან

3 რატომ დავდივართ ღვთისმსახურებაზე

ღვთისმსახურება

4 ყველას თავისუფლად შეუძლია გავლა

Global News

10 სეფისკვერების საცხობი (ისევ) გაიხსნა

საბავშვო კუთხე

12 მესია და მისი მშვიდობის სამეფო

14 სტუმრად ლავრანასთან აბუ-როუდში (ინდოეთი)

დოქტრინა

16 ჭეშმარიტ რწმენას აქვს მომავალი

■ თავფურცელის ფოტო: რუანდის ახსე
■ უკანა გვერდის ფოტო: წყნარი ოკეანის დასავლეთ მხარის ახსე

რატომ დავდივართ ღვთისმსახურებაზე

ფოტო: საერთაშორისო ახალსამოციქულო ეკლესია

ყოველთვის, როცა ღვთისმსახურებაზე ვიკრიბებით, ქრისტესთან ყოფნის ჩვენს სურვილსა და გადაწყვეტილებას გამოვხატავთ.

კვირის განმავლობაში სხვადასხვა რამ შეიძლება განვიცადოთ. მაგრამ კვირადღეს ღვთისმსახურებაზე ვიკრიბებით, რამეთუ ვაღიაროთ: „იესოსთან ყოფნა მინდა.“

და ამას ვეუბნებით საკუთარ თავს, ვეუბნებით მეზობლს და ვეუბნებით ეშმაკს. ჩვენ ასევე ვმოწმობთ და ვაღიარებთ ჩვენს ნებას, რომ ქრისტეს ვეკუთვნით და ცხოვრების ქრისტეს მაგალითისამებრ მოწყობა გვსურს. კვირის განმავლობაში ბევრი რამ შეიძლება მოხდეს და ეშმაკს მათი გამოყენება სურს, რამეთუ დაგვაშოროს ღმერთს. მაგრამ შემდეგ მოვდივართ ღვთისმსახურებაზე და მკაფიოდ გამოვხატავთ ჩვენს ამ პოზიციას: „არა, ჩვენ გამუდმებით ღმერთთან სიახლოვის ძიებაში ვართ. თქვენ შეგიძლიათ აკეთოთ ის, რაც გსურთ, მაგრამ ვერ გაგვხლეჩთ. მოდით, ერთად ვიყოთ ქრისტეში და ერთად შევიდეთ ღვთის სასუფეველში.“

და ყოველ ჯერზე, როცა ღმერთი ამ სურვილსა და იმ გადაწყვეტილებას დაინახავს, რომ მის სიახლოვეს ვეძიებთ, რომ ქრისტესთან ერთად ყოფნა გვსურს, განსაკუთრებულ კურთხევას მოგვანიჭებს; ის თავის მშვიდობასა და ძალას გვიწყალობებს.

გულითადი მოკითხვებით, თქვენი

ჟან-ლუკ შნაიდერი

ყველას თავისუფლად შეუძლია გავლა

გულითადი მისალმება ტანაში (იაპონია), სადაც პირველმოციქულმა ჟან-ლუკ შნაიდერმა 2023 წლის 11 აგვისტოს ღვთისმსახურება ჩაატარა

Photos: NAC Western Pacific

იოან. 10, 9

„მე ვარ კარი: ვინც შედის ჩემით, გადარჩება, და შევა და გამოვა და ჰპოვებს საძოვარს“.

ძვირფასო ძმემო და დებო, ჩვენ ნამდვილად დიდად მადლობელი ვართ ჩვენი ზეციერი მამისა, რამეთუ მან დღეს დილით აქ შეკრების შესაძლებლობა მოგვცა. ბედნიერი ვარ, რომ ამ ღვთისმსახურებას თქვენთან ერთად ვიზეიმებ. მინდა ვისარგებლო შემთხვევით და ღრმა პატივისცემა და დიდი მადლიერება გამოვხატო თქვენი ერთგულებისა და შრომისათვის. იმ საქმისათვის, რომელსაც თქვენ შეუპოვრად აკეთებთ საკუთარი ხსნისა და ეკლესიაში მსახურებისათვის. გულწრფელად, თქვენ დიდებულ საქმეს აკეთებთ როგორც უფლის მოწაფეები და მსახურები, და სრულიად დარწმუნებული ვარ, რომ თქვენს შრომას, რომელსაც თქვენი ხსნისა და ეკლესიისათვის ეწევით, უფალი სრულყოფს. იესო დაასრულებს იმ საქმეს, რომელიც თქვენში და ეკლესიაში დაიწყო.

მოცემული ბიბლიური ციტატა არის ამონარიდი წმიდა წერილის ერთი ცნობილი აბზაციდან. აქ იესო საკუთარ თავს კეთილ მწყემსად წარადგენს. მაგრამ იგი ასევე ამბობს: „მე ვარ კარი“. ცოტა რთულია გასაგებად, ვინაიდან ეს ორი მაგალითი ერთმანეთშია გადახლართული. ერთი მხრივ, იგი ამბობს, რომ ფარის მწყემსია, მეორე მხრივ კი, რომ ფარეხის კარია. საქმის გასამარტივებლად დღეს მხოლოდ კარზე ვილაპარაკებთ და არა მწყემსზე.

იესო აქ ამბობს, რომ ის გადარჩენის, ნეტარების კარია. ეს იესოს ძალიან მნიშვნელოვანი გამონათქვამი და ქრისტიანული რწმენის საფუძველია. იმისათვის, რომ ნეტარებას მივაღწიოთ, ე. ი., ღვთის სასუფეველში შევიდეთ და საუკუნო თანაზიარება გვქონდეს ღმერთთან, მხოლოდ ერთი შესაძლებლობა არსებობს: რწმენა იესო ქრისტეს მიმართ. უნდა ვირწმუნოთ, რომ ის ღვთის ძეა, რომელიც ამქვეყნად მოვიდა. უნდა ვირწმუნოთ მისი მსხვერპლი და ის, რომ მსხვერპლის გარეშე ვერ გადავრჩებით. უნდა ვირწმუნოთ მისი მოძღვრება, სახარება. ეს კი შემდეგს ნიშნავს: საკმარისი არ არის მარტო ამის თქმა: „ის ჭეშმარიტებაა“, ცხოვრება სახარებისამებრ უნდა წარვმართოთ და ვირწმუნოთ, რომ უფალი კვლავ მოვა ჩვენს წასაყვანად. მის გარეშე ვერ მოვხვდებით ღვთის სასუფეველში. ღმერთთან თანაზიარების ქონა მხოლოდ მას შეუძლია, ვისაც სწამს იესო ქრისტესი და მისდევს მას. კარი იესოა - სხვა კარი არ არსებობს.

იესო ღვთის სასუფეველში მოხვედრის შესაძლებლობას გვიხსნის.

შემდეგ ამბობს, რომ მისი მორწმუნე „შევა და გამოვა“. ეს სურათი ქრისტიანთა თავისუფლებას აღწერს. იესო ქრისტეს მიმართ რწმენის, წყლით წმიდა ნათლობისა და სულიწმიდით აღბეჭდვის წყალობით მორწმუნე ცოდვის ბატონობისგან თავისუფლდება. იესო ქრისტეს მეშვეობით მან თავისუფლებას მიაღწია. და ეს თეორია არ არის. ეს ჩვენთვის მთავარი და მნიშვნელოვანია, რადგან იესო ეუბნება მორწმუნეს: „აჰა, შენს წინაშე დავდგი ღია კარი, რომლის დაკეტვაც არავის ძალუძს“ (გამოცხ. 3, 8). ვინც წყლითა და სულით არის მონათლული, ღვთის სასუფეველში შესვლა შეუძლია და ვერავინ შეუშლის მას ამაში ხელს. არც ერთ ადამიანს, არც ერთ ხელისუფლებას, არც ერთ სულს არ ძალუძს ამ კარის ჩაკეტვა. ეს იმასაც კი ნიშნავს, რომ ჩვენი ხსნა მარტო ჩვენზეა დამოკიდებული. მონათლული თავისუფალია ქრისტეში და ღვთის სასუფეველში შეუძლია შევიდეს. ეს ყველაფერი კი ჩვენზეა დამოკიდებული. ჩვენზეა დამოკიდებული, თუ რა გადაწყვეტილებას მივიღებთ. მაშასადამე, ვერ ვიტყვით: „ჩვენ ბოროტის მსხვერპლი ვართ. ის ისეთი აგრესიული იყო, რომ ერთგულების

შენარჩუნება ვერ მოვახერხეთ.“ არა, არავის ძალუძს ამ კარის დაკეტვა. და თუ ეს მოხდება, მაშინ ჩვენ თავად ვიყავით ის, ვინც გადაწყვიტა, რომ ამ კარში არ შევიდეს. ეს სახარების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ადგილია.

და თუ მერე იესო ქრისტეს მოწოდებას გავყვებით და მოვინათლებით, თავისუფლები ვიქნებით და გადარჩენას შევძლებთ - თუ მოვინდომებთ. ეს მარტო საკუთარ თავზეა დამოკიდებული. სანუგეშოა იმის ცოდნა, რომ, ვიდრე ერთგულების შენარჩუნების სურვილი გვექნება, ღმერთი დაგვეხმარება. ეს არის მორწმუნეთა თავისუფლება. შემდეგ იესო ამბობს: „ვინც შედის ჩემით, ... შევა და გამოვა და ჰპოვებს საძოვარს“. მაშასადამე, საზრდოს საპოვნელად კარში უნდა შევიდეთ, იესო ქრისტეს მეშვეობით. ჩემი აზრით, იაპონიაშიც ზუსტად ისეა, როგორც ყველგან მსოფლიოში. არსებობს უამრავი თეორია და მოძღვრება. ყველა ისინი კონკურენციას უწევენ სახარებას. მაგრამ ახალსამოციქულო ეკლესიის პირველმოციქულის ამოცანა ამ მოძღვრებათა შეფასება ან ამის თქმა არ არის: „ეს კარგია, ეს ცუდია.“ ბევრი თეორია არსებობს იმის შესახებ, თუ როგორ შეიძლება რომ ადამიანი მდიდარი და ბედნიერი გახდეს, ჭკვიანი და წარმატებული. და დარწმუნებული ვარ, ამ თემაზე რომ ვილაპარაკოთ, ვერასოდეს მივალთ საერთო მნიშვნელამდე. ყველას საკუთარი წარმოდგენა იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ გახდეს ცხოვრებაში ბედნიერი.

გთხოვთ გაიაროთ ლოცვის კარი.

რას ნიშნავს სიმდიდრე? ერთისათვის ეს ფულია, მეორისთვის კი - ბედნიერი ოჯახი, და კიდევ სხვებისათვის სულ სხვა რამ. ამის გადაწყვეტა ნამდვილად არ არის იესოსა და ეკლესიის ამოცანა. მაგრამ როცა საქმე ჩვენს ხსნას ეხება, ერთადერთი გზა ღვთის სასუფეველში შესვლაა, იესო ქრისტეს კარით. ეს ნიშნავს, მივყვეთ მის სახარებას. ე. ი. როცა საქმე ჩვენს პირად ცხოვრებას ეხება, შეგვიძლია ის ვაკეთოთ, რაც გვინდა. მაგრამ თუ ღვთის სასუფეველში შესვლა გვინდა, აუცილებელი საზრდოს მისაღებად მხოლოდ ერთი გზა არსებობს, კერძოდ, იესო ქრისტეს სახარება. ვისაც სწამს, იესო ქრისტეს კარით „შევა და გამოვა“, და ჰპოვებს საზრდოს, რომელიც გამოსყიდვისათვის არის აუცილებელი. ეს კარი ღვთის სასუფეველში შესვლის შესაძლებლობას გვიხსნის. მიუხედავად დიდი ძალისხმევისა, საკუთარი ძალით სათანადო ღირსებას ვერ მოვიპოვეთ.

ღვთის სასუფეველში რომ მოვხვდეთ, იესო ქრისტესნაირები უნდა გავხდეთ. ის არის



სამხ. მოციქულმა ედი ისნუგროჰომ (სამხრეთ-აღმოსავლეთ აზია) იმ გადაწყვეტილების შესახებ ილაპარაკა, რომელსაც ღმერთის სასარგებლოდ ვიღებთ

პირველი, რომელიც, როგორც ადამიანი, ღვთის სასუფეველში შევიდა. და ჩვენთვის ეს ერთადერთი შესაძლებლობაა, გავხდეთ ისეთები, როგორიც ის არის. მაგრამ მარტონი ამას ვერ შევძლებთ. ჩვენ საცოდავი ცოდვილები ვართ და ვერ ვიქნებით ისეთი სრულყოფილები, როგორიც იესო ქრისტე იყო. მაშ, მთელი ჩვენი იმედი მის წყალობაზე დავამყაროთ, რომელსაც იგი მისი მეორედ მოსვლის დროს მოგვანიჭებს. ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენი განზრახვა სწორია. მაშასადამე, ღვთის სასუფეველში მოსახვედრად ერთადერთი შესაძლებლობა ის არის, რომ იესომ ჩვენ, მის მარჯვნივ მდგომთ (მათ. 25, 34), წყალობა მოგვანიჭოს. მისი წყალობის გარეშე ამას ვერ შევძლებთ, რამეთუ კარი ის არის.

კიდევ ერთი ბოლო მოსაზრება ამ თემასთან დაკავშირებით. კარი იესოა, მსაჯულიც ის იქნება. როცა მეორედ მოვა, თავად გადაწყვეტს, თუ ვინ შევა ღვთის სასუფეველში, ვის მიანიჭებს ამ წყალობას. ის გაითვალისწინებს ჩვენს გადაწყვეტილებას, წადილსა და სიმტკიცეს. ის ყურადღებას არ მიაქცევს ჩვენს ცოდვებს, მაგრამ დანაშაულს - კი. ის შეხედავს ჩვენს სიყვარულსა და რწმენას. და ის იქნება ერთადერთი, ვინც გადაწყვეტს, მიგვიღოს თუ არა. არ იდარდოთ იმაზე, თუ რას იტყვის თქვენზე ხალხი. არ იდარდოთ იმაზე, თუ რას იფიქრებს უმრავლესობა. ჩვენთვის ეს სულერთია. მნიშვნელოვანი ის არის, თუ რას ფიქრობს იესო ჩვენზე და რას გვეუბნება. სხვა დანარჩენი უმნიშვნელოა. არც იმას აქვს მნიშვნელობა, თუ რას ფიქრობს შენზე შენი მოციქული, რამეთუ სასულიერო პირებიც ადამიანები არიან. მათ საკუთარი შეხედულებები და საკუთრი კულტურული ფესვები აქვთ. მნიშვნელოვანი იესო

ქრისტეა. ის არის მსაჯული. ნუ იდარდებთ, ის არ შეეკითხება პირველმოციქულს, თუ ვინ უნდა იქნას მიღებული და ვინ არა. ზოგიერთისათვის ეს სანუგეშოა. ის უყურებს ჩვენს სიყვარულს, ჩვენს გულწრფელობას და ხსნისკენ სწრაფვას. ის არის ხსნის კარი, სხვა არავინ. რომ გადავრჩეთ, იესო ქრისტეს კარი უნდა გავიაროთ. უნდა ვირწმუნოთ მისი. თუმცა ჩვენ თავისუფლები ვართ.

ყოველ ჯერზე თავიდან უნდა გადავწყვიტოთ, გვინდა თუ არა ამ კარში გავლა. ვერაფერი და ვერავინ ვერ შეგვიშლის ხელს იმაში, რომ ღვთის სასუფევლში მოვხვდეთ. გადაწყვეტილება ჩვენ თვითონ უნდა მივიღოთ. ერთადერთი გზა იმ საზრდოს მისაღებად, რომელიც ღვთის სასუფეველში შესასვლელად გვჭირდება, ქრისტეს მოძღვრებაა, რომელსაც იგი მოციქულებისა და წმიდა ზიარების მეშვეობით გვაძლევს, რამეთუ იესო ამბობს: „ვინც ჭამს ჩემს ხორცს და სვამს ჩემს სისხლს, ექნება საუკუნო სიცოცხლე.“ ე.ი., გადასარჩენად ამ კარში უნდა გავიაროთ: სახარების უწყებისა და წმიდა ზიარების კარში. ნუ ინერვიულებთ, ჩვენ ჩვენს იმედს წყალობაზე ვამყარებთ, რომელსაც უფალი მისი მეორედ მოსვლის დროს მოგვანიჭებს. სხვათა აზრი კი ნაკლებად გვაღელვებს. ის, რაც მნიშვნელოვანია, იესო ქრისტეს აზრია.

მაშასადამე, მთავარი ასპექტი ეს არის: იესო ხსნის კარია. კიდევ ერთი ასპექტი მინდა დავასახელო. იესოს სურს, რომ ჩვენი ყოველდღიური ცხოვრების კარიც იყოს. თქვენ იცით, რომ ხანდახან ისეთი სიტუაციები იქმნება, საიდანაც გამოსავალი არ ჩანს. ადამიანი რთულ მდგომარეობაშია და თითქოს ჩიხშია მოქცეული და არ იცის, როგორ დააღწიოს ამას თავი. მოდით, ამ შემთხვევაშიც იესო გამოვიყენოთ როგორც კარი. რას ნიშნავს ეს კონკრეტულად? როცა განსაცდელში ან მძიმე სიტუაციაში აღმოვჩნდებით, კარგად უნდა გვესმოდეს, რომ საბოლოო და ჭეშმარიტი ხსნა ქრისტეს მეორედ მოსვლაა. ღმერთს ჩვენი გადარჩენა სურს. მას უნდა, რომ ყოველგვარი უბედურებისა და გასაჭირისგან გვიხსნას და თავის სასუფეველში მიგვიღოს.

ღმერთისთვის დახმარების თხოვნა ნორმალურია, როცა რთულ მდგომარეობაში ვიმყოფებით. მაგრამ, მოდით, იესოში ხსნის კარი განვჭვრიტოთ. უპ. ყოვლისა, მისი დახმარება იმაზე ზრუნვაში მდგომარეობს, რომ არსებული გასაჭირის მიუხედავად მაინც შევიდეთ ღვთის სასუფეველში. ასე დაგვეხმარება იგი. როცა ავად ვართ, ან ჩვენი ქმარი ან ცოლი ან ბავშვები არიან ავად, მაშინ აბსოლუტურად ნორმალურია ამის თქმა: „ღმერთო მიშველე.“ და იმედი არის. ღმერთი ხან შეისმენს ასეთ ლოცვებს და ხან არა. გულწრფელად რომ გითხრათ, წარმოდგენა არა მაქვს, ერთ შემთხვევაში რატომ შეისმენს იგი ლოცვას, ხოლო მეორე შემთხვევაში არა. მაგრამ ჩემი გამოცდილებიდან გამომდინარე მინდა გითხრათ, რომ ის ყოველთვის გვიწევს ისეთ დახმარებას, როგორიც სულებს სჭირდებათ, რათა არსებული განსაცდელისა და გაჭირვების მიუხედავად ერთგულნი დარჩნენ. მოდით, კარგად გავაცნობიეროთ ეს.

მაშასადამე, ღვთიური დახმარება, პირველ რიგში, იმაში მდგომარეობს, რომ იგი ერთგულების შენარჩუნებაში დაგვეხმაროს. როცა იესო დედამიწაზე იმყოფებოდა, თავადაც ხვდებოდა ისეთ სიტუაციებში, საიდანაც გამოსავალი არ ჩანდა. თვალშისაცემია ის, რომ ის ყოველთვის, შეიძლება ითქვას, ერთსა და იმავე კარს იყენებდა. ის განმარტოვდებოდა ხოლმე და მამის მიმართ ლოცულობდა. ლოცვის კარში ამგვარი გავლა მას ყოველთვის ეხმარებოდა. ლოცვის შედეგად იგი დახმარებას, ნუგეშსა და სიბრძნეს იღებდა, რომელიც მას საქმის გასაგრძელებლად სჭირდებოდა.

და-ძმანო, როცა რთულ სიტუაციაში ვიმყოფებით, როცა გამოსავალი არ ჩანს, გთხოვთ, რომ ლოცვის კარი გაიაროთ. ამ კარში გავლა ყოველთვის ღირს. ლოცვა ყოველთვის დაგვეხმარება. მოდით, ჩვენც გავიაროთ იესო ქრისტეს კარი, რამეთუ პრობლემები გადავჭრათ. მოდით ვუერთგულოთ მას და მისი მცნებები დავიცვათ. ვიცი, ამას თითქმის ყოველ კვირა ვქადაგებ და არ მომბეზრდება მისი გამეორება. მსოფლიო დღეს სირთულეების უკან მოსატოვებლად საკმაოდ ბევრ გასავლელ კარს გვთავაზობს. ადამიანური თვალთხედვით, ეს კარები გამოსავალია. არის ისეთი გადაწყვეტილებები, რომლებიც ჩვენს ამქვეყნიურ საქმეებსა და პრობლემებს აგვარებს. მაგრამ ასე ჩვენს ხსნას სასწორზე შევაგდებთ. მოდით, ნუ შევალთ იმ კარში, რომელიც იქამდე მიგვიყვანს, რომ აღარ შევასრულებთ ღვთის მცნებებს. სულერთია, რა სიტუაციაში ვიმყოფებით, მოდით, ყოველთვის დავიცვათ მცნებები. ეს პატარა კარი და რთული გზაა. მაგრამ პრიორიტეტი ჩვენს ხსნას ენიჭება. გვინდა რა უსაფრთხოება, ნუ დავკმაყოფილდებით სხვა კარით. კარგად უნდა გვესმოდეს, რომ ეს ძალიან სწრაფად შეიძლება დაკონკრეტდეს: ერთი პატარა ტყუილი და მერე ყველაფერი ბევრად უფრო კომფორტული ხდება. მოდით, ღვთის მცნებების კარში გავიაროთ.

ჯვარცმა ნამდვილად ჩიხი იყო იესოსთვის. მან ვერ გაიგო მამის ნება. და მისთვის მხოლოდ ერთი კარი დარჩა ღია: ის ენდობოდა მამას. ჩემი სიტყვებით გეტყვით: „ღმერთო, არ მესმის შენი, რატომ მიმატოვე? მაგრამ მე მაინც გენდობი. შენ განდობ საკუთარ თავს და პატივს ვცემ შენს ნებას.“

პირველმოციქული ჟან-ლუკ შნაიდერი სასულიერო პირებთან ერთად



და-ძმანო, ბევრ სიტუაციაში ამ ჩიხიდან გამოსვლის ერთადერთი შესაძლებლობა ეს არის. უბრალოდ გავითვალისწინოთ, რომ ღვთის ქმედებების გაგება ჩვენ არ შეგვიძლია. ერთადერთი გზა იმისათვის, თუ როგორ უნდა გავაგრძელოთ, არის ღვთისადმი ნდობა მისი გაგების გარეშე და კითხვების დაუსმელად. მე თავად მაქვს გამოცდილი ეს და ამიტომაც ვიცი, რომ იოლი არ არის ამ კარში გავლა. მაგრამ ეს ნამდვილად საუკეთესო გზაა, რამეთუ თავი დავაღწიოთ მძიმე ვითარებას.

მაგრამ კიდევ ერთი კარი არსებობს: მოყვასის სიყვარულის კარი. იესო ხშირად გადიოდა ამ კარს. გაიხსენეთ მოწაფეები, რომლებმაც გაჭირვებაში მიატოვეს იგი. იესომ მიტევების კარიც გაიარა. ამით გადაიჭრა პრობლემა. მოდით, ჩვენც გავიაროთ მიტევების კარში. როცა ვინმეს მივუტევებთ, დარწმუნებულნი შეგვიძლია ვიყოთ, რომ სწორი გადაწყვეტილება მივიღეთ. მიტევებით ადამიანი არასოდეს სცდება. გაიარეთ მოყვასის სიყვარულის ეს კარი და სიკეთე აკეთეთ იმის ნაცვლად, რომ ბოროტებას ბოროტებით მიუგოთ. ბევრი ადამიანისათვის ჩვეულებრივი ამბავია შურისძიება, როცა ვინმე აწყენინებს ან გულს ატკენს. შურისძიება მარტივი გზაა. მოდით, ჩვენ სხვა კარით ვიაროთ - ის პატარაა, მაგრამ საუკეთესო - და ბოროტებას სიკეთით ვუპასუხოთ. ამ კარს ღვთის სასუფეველში მივყავართ და მძიმე ვითარებიდან გამოვყავართ. იესოს კარი მოყვასის სიყვარულის კარია. მისი სიცოცხლის ბოლოსაც თავადაც ამ კარში გაიარა. მას მამასთან დაბრუნება სურდა. მაგრამ მარტო არ უნდოდა წასვლა. მას არც ჩვენ დავვიწყებივართ და არც ჩვენი მოყვასი. მან იმ დამნაშავეზეც იზრუნა, რომელიც ჯვარზე მასთან ერთად ეკიდა. ის თავისიანებზე ზრუნავდა, მარიამზე, იოანეზე; და იმათთვის ლოცულობდა, რომლებმაც ჯვარს აცვეს იგი. ის ჩვენთვის მოკვდა. ხსნის კარში გავლა მარტო არ უნდოდა იესოს. მას სურდა, რომ ჩვენც მასთან ერთად წავსულიყავით. მოდით, ვიაროთ ამ გზაზე ამ კარით. ღვთიურ დახმარებას მარტო ჩვენთვის ნუ მოვითხოვთ. ნუ ვიქნებით ეგოისტები, არამედ ყოველთვის ვიზრუნოთ მოყვასზე, რაც არ უნდა მოხდეს ჩვენს ცხოვრებაში. ეს კარგად უნდა გვესმოდეს: ჩვენ არ გვსურს, რომ მარტო ჩვენ გადავრჩეთ. გვინდა, რომ სხვებიც ჩვენთან ერთად გადარჩნენ. იესომ გადაგვარჩინა და ამიტომაც გვსურს ამ კარში გავლა. და ყოველთვის, როცა ამ კარში გავივლით, კურთხეულები ვიქნებით.

ძირითადი აზრები

იესო ქრისტე ჩვენი ხსნის კარია.
ის გვათავისუფლებს ბოროტისგან,
გვიახლოვდება და წყალობას გვანიჭებს.
განსაცდელის დროს იესოს მაგალითს
მივყვებით.

ფოტოები: ფრაკ შულდტი

სეფისკვერების საცხობი (ისევ) გაიხსნა

ის 150 მეტრის მოშორებით გადავიდა, მაგრამ ტექნიკურ მომავალში. ბილეფელდის (გერმანია) სეფისკვერების საცხობი საზეიმოდ გაიხსნა და, როგორც ეკლესიის საკუთრებაში მყოფი ერთ-ერთი სეფისკვერების საცხობი, სეფისკვერებს დაახ. 60 ქვეყნისათვის აწარმოებს.

„სეფისკვერების საცხობი, ამიერიდან პაკეტების გამოტანა კამერრატსჰაიდეს ქუჩა 8-დან“: იქ, სადაც მანქანები აქამდე კვირაში ოთხი დღის განმავლობაში ყოველდღიურად 10 საათი განუწყვეტლივ მუშაობდნენ, ფანჯარაში ახლა ეს ფურცელი ჰკიდია და ფოსტალიონებს ახალ თეთრ შენობაზე მიუთითებს, რომელიც იქვე მეზობლად მდებარეობს.

სეფისკვერების წარმოება, რომელიც მომავალზეა ორიენტირებული

მწარმოებელ ქარხანას, რომელიც 1990 წლიდან ფუნქციონირებდა, ყავლი გაუვიდა. „ის უბრალოდ ტექნიკურად გაცვდა და მოძველდა“, ასე განმარტა ახალი შენობის აშენების მიზეზი სეფისკვერების საცხობის ხელმძღვანელმა მიხაელ ბლოკმა. ეკლესიის წინაშე ასეთი კითხვა დაისვა: ყველაფერი უნდა გარემონტდეს თუ სრულიად ახალი შენობა აშენდეს? აქამდე არსებული ობიექტი იჯარით იყო აღებული, თუმცა იქვე მეზობლად მდებარეობდა საერო ეკლესიის შენობა, რომლის მიწის ნაკვეთზეც სეფისკვერების ახალი საცხობი აშენდა.

სამშენებლო სამუშაოები 2023 წლის მარტის ბოლოს დაიწყო. საწარმოო ცეხის გარდა - დანადგარებითა და ლოჯისტიკური ფართით - საჭირო იყო ასევე საოფისე, სათავსო და სოციალური ოთახები. მანქანებისა და ელევატორის დამონტაჟება შესაძლებელი იყო 2023 წლის ნოემბერში. 2024 წლის იანვარში ახალ შენობაში გადასვლა მოხდა, საცდელი წარმოება დაიწყო. ეს დროული იყო, ვინაიდან „სეფისკვერების არსებული მარაგი იწურებოდა“, თქვა მიხაილ ბლოკმა.

სეფისკვერების ახალი საცხობი მდგრადიც არის: შენობაში სითბო თბური ტუმბოების მეშვეობით შემოდის, ელექტროენერგია კი - სახურავზე დამონტაჟებული ფოტოვოლტაკური (ფოტოელექტრონული) სისტემის მეშვეობით. სამკაციანი გუნდი მოუთმენლად ელის სეფისკვერების საცხობში მუშაობის დაწყებას: „დარწმუნებული ვარ, რომ სეფისკვერების საცხობი - ახალი ტექნოლოგიებითა და ახალი შენობით - კარგად არის მომზადებული იმისათვის, რომ მრავალი ქვეყნის თემები მომავალი ათწლეულების მანძილზე საიმედოდ მოამარაგოს სეფისკვერებით“, თქვა მიხაილ ბლოკმა.

როგორ იქცევა ფქვილი ლიტურგიის ელემენტად

წყალი, ფქვილი და ლეციტინი - ცომს მეტი არაფერი სჭირდება. მას 45 წუთის განმავლობაში ურევენ, ხოლო შემდეგ თხელ ზოლებად აწყობენ საცხობ ფირფიტებზე. სრულიად ავტომატიზირებულად და პროგრამული უზრუნველყოფის კონტროლით ზემოდან ცომზე გრავირებული ფირფიტა ეშვება და უზრუნველყოფს, რომ სეფისკვერებზე ნაცნობი ასოები A და Ω (ალფა და ომეგა) ჩანდეს. ამის შემდეგ ფირფიტები ღუმელში შედის.

იმისათვის, რომ ამოტვიფრვის დროს ფირფიტები არ დაიმტვრეს, ატენიანებენ მათ. ამასობაში ცალკეულ სეფისკვერს წითელი ღვინის სამი წვეთი ემატება. „სეფისკვერების წარმოებისათვის ნამდვილ ღვინოს ვიყენებთ“, განმარტავს მიხაილ ბლოკი. „ეს არ არის განსაკუთრებული შატო-ღვინო, არამედ ჩვეულებრივი სამომხმარებლო ღვინოა დისკაუნტიდან (მაღაზია ფასდაკლებით).“

მთავარია მუქი ფერის იყოს, „რათა ღვინის სამი წვეთი კარგად ჩანდეს სეფისკვერზე.“

გასაგზავნი ყუთების შევსება სასწორის მეშვეობით ხდება. ერთ ყუთში დაახ. 1650 სეფისკვერია, გასაგზავნი პაკეტი 20 ყუთისგან შედგება. ისინი დაახ. 8 კილოს იწონის და მსოფლიოს 60 ქვეყანაში იგზავნება.

სეფისკვერები მთელი მსოფლიოსათვის

„სეფისკვერები წმიდა ზიარების ჩასატარებლად გვჭირდება, ისინი ლიტურგიის ძალიან მნიშვნელოვანი მატერიალური ელემენტია“, თქვა სამხ. მოციქულმა რაინერ შტორკმა, დასავლეთ გერმანიის სამხ. ეკლესიის ხელმძღვანელმა, რომელშიც სეფისკვერების საცხობი შედის. იმის ნაცვლად, რომ წარმოება გარეშე ორგანიზაციებს გადასცეთ, რომლებიც დავალებას სათანადოდ ვერ შეასრულებენ, უმჯობესია თავად გააკეთოთ.

სწორედ ამიტომ 1919 წლიდან საკუთარი საწარმო ფუნქციონირებს ბილეფელდში.

მთავარი კლიენტი კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკაა, სადაც ახალსამოციქულო ქრისტიანთა უმეტესობა ცხოვრობს. მაგრამ ბილეფელდიდან ყველა იმ ქვეყნის უზრუნველყოფა ვერ ხდებოდა, სადაც ახალსამოციქულო ეკლესიაა წარმოდგენილი. ამიტომაც თანდათან სეფისკვერების სხვა საცხობებიც გაჩნდა: ბენგალურუში (ინდოეთი), ლუსაკაში (ზამბია), კეიპტაუნში (სამხრ. აფრიკა) და ურუგვაიში.

წარუმატებლობა და მცირე ავარიები

4 მარტს, საზეიმო გახსნის დროს, ყველაფერი ეს და უფრო მეტიც გაიგეს არა მხოლოდ ეკლესიის ხელმძღვანელობის წარმომადგენლებმა და მონაწილე სახელოსნო კომპანიებმა, არამედ ცოტა ხნის შემდეგ დასავლეთ გერმანიის მოციქულებმა და პირველმოციქულის ღვთისმსახურებაზე დამსწრე სტუმრებმაც მინდენში (გერმანია). მათთვის ნაჩვენები იქნა წარმოებაში ახლად ჩაშვებული საწარმოო დანადგარები, მიხაელ ბლოკმა მათ ასევე წარმოქმნილ გამოწვევებზეც უამბო. მაგ., სეფისკვერების ფირფიტები უფრო უნდა გაესქელებინათ, ვინაიდან ამოტვიფრვის დროს ისინი მტრევადი ხდებოდა ან ცომის რაოდენობა უნდა ყოფილიყო შესაბამისი. „ჩვენ იმაზე უნდა ვიზრუნოთ, რომ ათასობით კილომეტრზე გადაზიდვის დროს სეფისკვერებმა, შეძლებისდაგვარად, დაუზიანებლად მიაღწიოს თემებამდე“, თქვა მიხაილ ბლოკმა.

სამხ. მოციქულ რაინერ შტორკისათვის ეს ახალი გამოცდილება იყო: „ჩემი სასულიერო მოღვაწეობის დროს ბევრი ეკლესიის გახსნა მიკურთხებია, მაგრამ არასოდეს სეფისკვერების საცხობისა“, იხუმრა მან მიმართვის დროს.

მიხაელ ბლოკი, სეფისკვერების საცხობის ხელმძღვანელი

მესია და მისი მშვიდობის სამეფო

ესაია 11-ის მიხედვით

იესოს დაბადებამდე 700 წლით ადრე იერუსალიმში ერთი წინასწარმეტყველი ცხოვრობდა. მას ესაია ერქვა. მისი პირით ღმერთმა მესიის მოსვლა იუწყა. ესაია აღწერს, თუ რა იქნება, როცა მშვიდობის ეს მეფე მოვა და თავის სამეფოს აღმართავს:

„ამოვა ყლორტი იესეს (დავითის მამის) ღეროდან და მისი ფესვის ამონაყარი გაიხარებს.“

„და დაივანებს მასზე უფლის სული, სული სიბრძნისა და გონიერებისა, სული რჩევისა და ძლიერებისა, სული ცოდნისა და უფლის მოშიშებისა.“

„ის უფლის შიშით ისულდგმულებს, დანახულით არ განსჯის და გაგონილით არ დაიწყებს მხილებას.“

„სიმართლით განსჯის ღარიბ-ღატაკთ, სისწორით განიკითხავს ქვეყნის ბედშავთ, დაჰკრავს მიწას თავის ბაგეთა კვერთხს

და თავის პირისქარით
ბოროტეულს მოაკვდინებს.“
„და იქნება სიმართლე
სარტყელი მისი წელისა და
ჭეშმარიტება - სარტყელი მისი
თეძოებისა.“
„და მგელი კრავთან ერთად
იცხოვრებს, და ვეფხვი თიკნის
გვერდით წამოწვება.“
პატარა ბიჭი ერთად
დამწყემსავს ხბოებს, ლომის
ბოკვრებსა და საქონელს.
„ძროხა და დედადათვი
ერთად მოსძოვენ და მათი
შვილები ერთმანეთის
გვერდით დაწვებიან, ლომი
ძროხასავით შეჭამს ჩალას.“
„ძუძუთა ბავშვი უნასის
ხვრელთან ითამაშებს და
ძუძუანასხლეტი ასპიტის
ბუდეში ჩაყოფს ხელს.“

არავინ
ჩაიდენს
ბოროტებას.
აღარ იქნება
ცოდვა ღვთის
წმინდა მთაზე, „რადგან
ქვეყანა სავსე იქნება უფლის
ცოდნით, როგორც ზღვაა
დაფარული წყლებით.“ და ეს
იმ დროს მოხდება, როცა იესეს
ფესვიდან აღმოცენებული
ყლორტი ნიშნად იდგება
ხალხებისათვის. ხალხები
იკითხავენ მასზე და
ადგილი, სადაც იგი
დაიმკვიდრებს,
დიდებული
იქნება.

წყარო: საბავშვო ჟურნალი, გამოცემა: 12. 2024 წ.; ილუსტრაციები: მირელა ფორტუნატი

სტუმრად ლავრანასთან აბუ-როუდში (ინდოეთი)

ჩემი სახელია ლავრანა, მაგრამ ყველა რუჩის მეძახის. 13 წლის ვარ და ვცხოვრობ აბუ-როუდში, ინდოეთში, რაჯასტანის შტატის ერთ პატარა ქალაქში.

ინდოეთი ერთ-ერთი უდიდესი ქვეყანაა დედამიწის ზურგზე, აქ 1,4 მილიარდი ადამიანი ცხოვრობს. ინდოელთა უმრავლესობა სოფლად მკვიდრობს. 100 ინდოელიდან 67 სოფელში ცხოვრობს, 33 კი - ქალაქში - როგორც ჩემი ოჯახი.

მამაჩემს ბჰასკარი ჰქვია, ის მწყემსად მსახურობს ჩვენს თემში. დედაჩემი ააგნეში მასწავლებელია და მკაცრად აკონტროლებს ჩვენს საშინაო დავალებებს. ის ჩვენი საკვირაო სკოლის მასწავლებელიც არის. ჩვენ ეს ვართ მე და ჩემი უფროსი ძმა რიჩარდ-პაული. მას უყვარს კრიკეტის თამაში, ეს არის პანჩბოლი (ბურთის დარტყმა). მე არ მიყვარს კრიკეტი, მაგრამ ჩემი ძმა ძალიან მიყვარს.

ჩვენი თემი ინდოეთის ერთ-ერთ ყველაზე ადრეულ ახალსამოციქულო ეკლესიაში იკრიბება. აქ აღიბეჭდნენ სულიწმიდით პირველი მორწმუნეები ინდოეთში. ყველაზე კარგი ეკლესიაში ჩემთვის საკვირაო სკოლაა, სადაც ღმერთის შესახებ გვასწავლიან. სულ რვა მოწაფე ვართ და ორი მასწავლებელი.

მე კერძო სკოლაში დავდივარ, რომელიც საკმაოდ ახლოს არის ჩვენს სახლთან. ბევრ ბავშვთან ვმეგობრობ, მაგრამ მათგან მხოლოდ რამოდენიმეა ნამდვილად კარგი მეგობარი. მიყვარს როლიკებით სრიალი, ცოტა ხნის წინ მეორე ადგილი დავიკავე როლიკებით სრიალის სასკოლო შეჯიბრში.

ინდოელების უმრავლესობა ძალიან ცოტა ხორცს ჭამს ან საერთოდ არ ჭამს. ინდური კერძები მრავალი სანელებლებით არის შეზავებული, ზოგჯერ ისინი ძალიან ცხარეა. ჩვენ შეჩვეულები ვართ და მოგვწონს. მე ბოსტნეული მიყვარს, განსაკუთრებით ბამია (ოკრა).

მამაჩემი ფაბრიკაში მუშაობს, შაბათობით მას დასვენება აქვს. ამ დღეს ყოველთვის სიხარულით ველოდები, რადგან ამ დროს ექსკურსიებს ვაწყობთ. განსაკუთრებით შანტკიკუნჯის პარკი მიყვარს, ვინაიდან ის ძალიან დიდი და მწვანეა და სათამაშოდ ბევრი შესაძლებლობა არსებობს.

წყარო: საბავშვო ჟურნალი, გამოცემა: 12. 2023 წ.; ფოტოები: კერძო, დიდიტერი რუხლენვკე; Roop Dey/stock.adobe

Illus: rudall30/stock.adobe

ჭეშმარიტ რწმენას აქვს მომავალი

„როცა ძე კაცისა მოვა, ნეტა ჰპოვებს ამქვეყნად რწმენას?“ (ლუკ. 18,8) - ცხადია, იესოს არ ჰქონდა იმის შიში, რომ მისი მეორედ მოსვლის დროს არავინ იქნებოდა ისეთი, ვისაც მისი რწმენა არ ექნებოდა. ის სრულად ენდობოდა ღმერთს და იცოდა, რომ მომავალი ხსნის გეგმის შესატყვისი იქნებოდა. ამ კითხვით იესოს იმის ხაზგასმა სურდა, თუ რა მნიშვნელობას მიანიჭებდა იგი რწმენას მისი მეორედ მოსვლის დროს. ცათა სასუფეველში პირმშოებად შესვლისათვის წყლისა და სულისგან ხელახლა დაბადება არ კმარა, არამედ აუცილებელია, რომ ჭეშმარიტი რწმენით ვიყოთ აღვსილნი!

რწმენა სიტყვის მიმართ

რომ გადავრჩეთ, იესო ქრისტესი უნდა გვწამდეს; ღვთის ძე ამქვეყნად ჩვენთვის საუკუნო სიცოცხლის მოსატანად მოვიდა. ქრისტეს რწმენა ჩვენი აღდგომის, ღმერთთან საუკუნო თანაზიარების და ახალი შემოქმედების რწმენას შეიცავს. ესქატოლოგიური განზომილების გარეშე ქრისტიანული რწმენა კარგავს არსებობის აზრს. სამწუხაროდ, ესქატოლოგიური იმედი ქრისტიანთა შორის ხანდახან უკანა პლანზე გადადის. ზოგიერთებისათვის იესო ქრისტე, პირველ რიგში, ის არის, ვისაც მათი პრობლემის გადაჭრა შეუძლია. სხვებისათვის ის ეთიკური საზომია, ხოლო მისი მოძღვრება სიკეთის კეთების ინსტრუქციაც არის.

ღვთისადმი რწმენა მისი სიტყვისადმი ნდობაში მდგომარეობს. ადამი და ევა ცოდვაში იმიტომ ჩავარდნენ, რომ არ დაიჯერეს ღვთის სიტყვა. აბრაამი კურთხეულ იქნა, რამეთუ უხილავად ირწმუნა. იმის გამო, რომ უხილავად ვერ ირწმუნეს, ზაქარიას, იოანე ნათლისმცემლის მამას, ანგელოზმა მკაცრად უსაყვედურა, თომას კი - იესომ. რწმენა ნიშნავს ასევე ღვთიური ჭეშმარიტების მტკიცედ დაცვას მასში რაციონალურად წვდომის გარეშე. ღმერთი ყოველგვარი ადამიანური ცოდნის დათმობას არ გვთხოვს. მაგრამ იგი რწმენის გზაზე სიარულს გვთავაზობს, რათა იმ ჭეშმარიტებასთან მივიდეთ, რომელიც ადამიანური წარმოდგენის ფარგლებს სცილდება.

მეორედ მოსვლის რწმენა

იმისათვის, რომ ქრისტემ მისი მეორედ მოსვლის დროს მიგვიღოს, ბუნებრივია, მისი მეორედ მოსვლისა უნდა გვწამდეს! სამწუხაროდ, ამ რწმენას ყველა არ იზიარებს. ქრისტიანობის არცთუ უმნიშვნელო ნაწილი ქრისტეს მოსვლას უკვე აღარ მოიაზრებს როგორც რეალურ მოვლენას, როგორც ისტორიაში ღვთიურ ჩარევას, არამედ როგორც მხოლოდ სულიერ პროცესს, რომელიც ყოველ მორწმუნეში მიმდინარეობს. ამ თვალსაზრისის მომხრეებისათვის იმის წარმოდგენა, რომ დედამიწაზე მცხოვრები ადამიანები უეცრად ზეცაში აიტაცებიან, უტოპიაა. ჩვენ კატეგორიულად ვეწინააღმდეგებით ასეთ თვალსაზრისს. ვინც ღვთის ძის განკაცებას, იესო ქრისტეს აღდგომასა და ამაღლებას დაუდო სათავე, მას მკვდართა აღდგომის, ცოცხალთა შეცვლისა და უფალთან მათი ზეატაცების განხორციელებაც შეუძლია! ქრისტეს მეორედ მოსვლის რწმენა რომ ჭეშმარიტი იყოს, ის მხოლოდ და მხოლოდ მის სიტყვას უნდა ეყრდნობოდეს და არა ნიშნებს. ძველი აღთქმის წინასწარმეტყველებმა საკმაოდ დეტალურად იწინასწარმეტყველეს მხსნელის დაბადება და მოღვაწეობა. და მაინც, ამ წინასწარმეტყველების ახდენამ იუდეველებში რწმენა არ გააღვიძა. მეორე მხრივ, ის, ვისაც სწამდა იესოს სიტყვის, მერე მიხვდა, რომ ყველაფერი, რაც წინასწარმეტყველებმა თქვეს, შესრულდა. ბიბლიაში ბევრი მითითებაა მოცემული უფლის მოსვლის თაობაზე.

თუმცა უგუნურება იქნებოდა, რომ ამ წინასწარმეტყველებების საფუძველზე იმის განსაზღვრა მოგვენდომებინა, თუ როდის შედგება ქრისტეს მეორედ მოსვლა, ან იმის აღწერა, თუ როგორ მოხდება ეს. ის, რაც დღეს არის მნიშვნელოვანი, ამ აღთქმისადმი რწმენაა! როცა უფალი გამოცხადდება, პირმშოები მაშინ ამის თქმას შეძლებენ: „ჭეშმარიტად, ყველაფერი ისე მოხდა, როგორც ღმერთმა გვითხრა!“

რწმენის გამოცდა

გადაწყვიტა რა, რომ ღმერთს დაგვაშოროს, ბოროტი ცდილობს, დაგვაკარგინოს ღვთის სიტყვის

მიმართ ნდობა. ასე აკეთებდა იგი თავის საქმეს სამოთხეში ადამსა და ევასთან მიმართებაში და იესოსთან უდაბნოში. ის ჩვენც ასე გვესხმის თავს, განსაკუთრებით მაშინ, როცა რთულად გვაქვს საქმე, რამეთუ დაგვაეჭვოს ღვთის სიტყვაში.

ღმერთი უშვებს ამგვარ ცდუნებებს, ვინაიდან მათ ჩვენს ხსნას შეიძლება შეუწყონ ხელი. ღმერთი ყოვლისმცოდნეა - მას არ სჭირდება ჩვენი გამოცდა, რამეთუ დაინახოს ჩვენი რწმენა ან ისინი ამოარჩიოს, ვინც გადარჩება. ღვთის მიერ დაშვებულმა განსაცდელმა იმის შესაძლებლობა უნდა მოგვცეს, რომ თავად განვსაზღვროთ ჩვენი რწმენის სიმტკიცე, გავაცნობიეროთ ჩვენი ზღვარი და საჭირო ცვლილებები მოვახდინოთ.

ეს პროცესი ხსნის მთელი ისტორიის მანძილზე გვხვდება. ძველი აღთქმის ეპოქაში ღმერთმა ისრაელის ხალხი უდაბნოში (რჯლ. 8, 2-5) გამოსცადა, რათა მიღებული სიტყვისადმი რწმენა განემტკიცებინა მათთვის. აშიმშილა კიდეც, რამეთუ ესწავლათ, რომ ადამიანი მარტო პურით კი არ ცოცხლობს, არამედ ღვთის სიტყვითაც. არ მისცა წყალი, რათა ღვთის სიტყვისადმი ნდობა ესწავლათ. ახალი აღთქმა ამბობს, რომ პირველი ქრისტიანები რწმენის განსამტკიცებლად იცდებოდნენ (1.პეტ. 1, 6-9).

ამ კუთხით უნდა გავიგოთ ის სირთულეებიც, რომლებსაც დღეს ვაწყდებით. ამასთან დაკავშირებით პავლე ამბობს: „ყოველივე ეს ნიმუშად დაიდო მათთვის და დაიწერა ჩვენს შესაგონებლად, რომელთაც მივაღწიეთ ჟამთა დასასრულს. ამრიგად, ვისაც ჰგონია, რომ დგას, ფრთხილად იყოს, რომ არ დაეცეს“ (1. კორ. 10, 11. 12). ჩვენი განსაცდელი უფლის მეორედ მოსვლის მაუწყებელი კი არ არის, არამედ ამ მოვლენისთვის მომზადება. განსაცდელმა ჩვენი რწმენის შეფასების შესაძლებლობა უნდა მოგვცეს.

ყველაზე დიდი გამოცდა, რომელსაც ღმერთი ადამიანს უწყობს, მოთმინებაა. აბრაამს ათწლეულები უნდა ეცადა, ვიდრე ღვთის აღთქმა ასრულდებოდა და მას შვილი მიეცემოდა. საუკუნეები გავიდა, ვიდრე ღმერთმა ადამიანებს მის მიერ ნაუწყები მხსნელი მოუვლინა. უფალი შეგვპირდა, რომ მალე კვლავ მოვიდოდა, მაგრამ ის ჯერ კიდევ არ მოსულა. ჩვენი ნდობა ამ აღთქმისადმი ურყევია? ჭეშმარიტი რწმენა დროს უძლებს ...

რწმენა მტკიცებულებების გარეშე

მოდით, აბრაამივით ჩვენც მივენდოთ ღვთის აღთქმას და მის კეთილ ნებას - თუნდაც გარეგნული მტკიცებულების საწინააღმდგოდ. გვასწავლეს, რომ წმიდა ზიარების მიღება აუცილებელია ჩვენი ხსნისათვის. მაგრამ ღმერთმა მაინც დაუშვა, რომ ჩვენ ყველას ამის შესაძლებლობა არ გვქონდა დიდი ხნის განმავლობაში. როგორ უნდა აიხსნას ეს პარადოქსი? არ ვიცით. მაგრამ განა ეს მიზეზია იმისათვის, რომ აღარ მივენდოთ მიღებულ მოძღვრებას? ჭეშმარიტ რწმენას პასუხგაუცემელი კითხვები ვერ შეარყევს.

ღვთის სიტყვისადმი აბსოლუტური ნდობის წყალობით იესომ მაცდუნებლისათვის წინააღმდეგობის გაწევა შეძლო უდაბნოში. მისიანებისგან ის იგივე ნდობას მოელის მისი სიტყვისადმი. ის კიცხავს იმათ პოზიციას, ვინც ნიშნებს მოითხოვს, რამეთუ ირწმუნოს მისი (მარკ. 8, 11. 12; იოან. 4, 48). ადვილია მოციქულობის რწმენა, როცა სულით აღბეჭდილ მორწმუნეთა რაოდენობა მუდმივად იზრდება. მაგრამ როგორ არის საქმე მოციქულობის მიმართ ჩვენს ნდობასთან დაკავშირებით, როცა ვხედავთ, რომ ზოგიერთ ჩვენს ეკლესიაში მიმსვლელთა რაოდენობა

კლებულობს? ჭეშმარიტ რწმენას ხილული ნიშნები არ სჭირდება, ის მხოლოდ და მხოლოდ ღვთის სიტყვას ეყრდნობა. იესომ კი დადო პირობა, რომ ბოლომდე მის მოციქულებთან იქნება!

სრულიად პირადი რწმენა

რწმენა განსაკუთრებულ და ძლიერ პირად ურთიერთობას აყალიბებს მორწმუნესა და ქრისტეს შორის. ქრისტე ცხოვრობს მასში, ვინც მისადმი რწმენით ცხოვრობს (გალ. 2, 20; ეფეს. 3, 17). ჩვენი ხსნისათვის მთავარი იესოსთან კავშირია. ჩვენ ვაფასებთ სხვა და-ძმებთან შეხვედრებს, გვახარებს ის აქტიობები, რომლებსაც მათთან ერთად ვახორციელებთ, სიამოვნებით ვმონაწილეობთ დიდ ღონისძიებებში, რომლებიც ეკლესიის ფარგლებში იმართება. ეს ყველაფერი ეკლესიასთან და ერთმანეთთან გვაკავშირებს. მაგრამ ის, რაც გადაგვარჩენს, ქრისტესთან ურთიერთობაა. ზოგჯერ ღმერთი იმის დასადგენად გვცდის, ნამდვილად ქრისტეა თუ არა ის, ვისთანაც კავშირი გვაქვს. მაგ., მას შეუძლია ისე მოაწყოს, რომ ვეღარ შევიკრიბოთ, ვეღარ მივიღოთ აქტიობებში მონაწილეობა, ვეღარ გავმართოთ დიდი ღონისძიებები ან ვეღარ დავესწროთ ღვთისმსახურებას. ზოგჯერ ის იმასაც უშვებს, რომ ეკლესიის წევრებისგან იმედგაცრუებულნი ვრჩებით. ამ ვითარებაში იმ პირადი ურთიერთობის სიმტკიცის შემოწმება შეგვიძლია, რომელიც ქრისტესთან გვაკავშირებს!

კიდევ ერთხელ, ღმერთი იმიტომ არ გვცდის, რომ დაგვცეს ან დაგვამდაბლოს. მას უნდა, რომ ჩვენი რწმენის სათანადო შეფასება შევძლოთ და რეაგირება მოვახდინოთ, ვიდრე გვიან არ არის. სწორი რეაქცია ღმერთთან თავმდაბლად მისვლას და ამის თქმას გულისხმობს: „მწამს, უფალო, შეეწიე ჩემს ურწმუნოებას!“ (მარკ. 9, 24). ღმერთი ამ თხოვნას ყოველთვის დაგვიკმაყოფილებს!

ღვთის მიერ დაშვებული განსაცდელის ამოცნობა მწუხარების დროსაც შეგვიძლია. ეს იმის შესაძლებლობას გვაძლევს, რომ ჩვენი რწმენის სიმტკიცე გამოვცადოთ. გამოვცადოთ საკუთარი თავი შელამაზების გარეშე და თავმდაბლად ვთხოვოთ ღმერთს ჩვენი რწმენის განმტკიცება. ის ამას გააკეთებს. ვინაიდან, როგორც პავლე მოციქული წერდა, „[აქამდე] სხვა განსაცდელი არ შეგხვედრიათ, ადამიანური განსაცდელის გარდა; მაგრამ სარწმუნოა ღმერთი, რომელიც არ შეგამთხვევთ იმას, რისი ატანაც თქვენს ძალ-ღონეს აღემატება, არამედ განსაცდელში გამოსავალსაც გაპოვნინებთ, რათა შეიძლოთ ატანა“ (1. კორ. 10, 13).

სატიტულო ფურცელი
გამომცემელი: ჟან-ლუკ შნაიდერი, იუბერლანდშტრასე 243, 8051 ციურიხი / შვეიცარია
შპს ფრიდრიხ ბიშოფის გამომცემლობა, ფრანკფურტერშტრასე 233, 63263 ნოი-იზენბურგი / გერმანია
რედაქტორი: სიმონ ჰაინიგერი

პროგრამა

07.07.2024	კიევი ან ლვოვი (უკრაინა)
14.07.2024	ლუბუმბაში (კონგოს დრ)
19.07.2024	ერევანი (სომხეთი)
21.07.2024	თბილისი (საქართველო)
28.07.2024	მემინგენი (გერმანია)
16.08.2024	მვანზა (ტანზანია)
18.08.2024	დარ-ეს-სალამი (ტანზანია)
14.09.2024	კინშასა (კონგოს დრ)
15.09.2024	კინშასა (კონგოს დრ)
22.09.2024	ოსტერმუნდინგენი (შვეიცარია)
27.09.2024	სანტა კრუზი დე ლა სიერა (ბოლივია)
29.09.2024	სან პაულო (ბრაზილი)

New Apostolic Church
International